



აგრიმატკო ჯორჯია
AGRIMATCO GEORGIA

შპს „აგრიმატკო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და პროგნოზები.....	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	10
5. ძირითადი საშუალებები	15
6. მარაგები	16
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	18
9. ნასესხები სახსრები	18
10. საიჯარო ვალდებულებები	18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
12. ამონაგები	18
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18
14. კომერციული ხარჯები	19
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
16. გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი	19
17. საპროცენტო ხარჯები	19
18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	20
19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები.....	21
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგრიმატკო ჯორჯიას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას, დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აგრიმატკო ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე შეჯამებისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს სტანდარტი) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA Code) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და მასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად არსებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, აუდიტის პროცესში აღმოჩენილ შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (# SARAS-A-735032) შპს „ბიდიო აუდიტის“

სახელით თბილისი, საქართველო

15 მაისი 2024

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	287,136	207,778
არამატერიალური აქტივები		1,459	1,702
		<u>288,595</u>	<u>209,480</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	1,043,610	1,553,837
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	549,383	277,595
ძულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	8	634,822	897,506
		<u>2,227,815</u>	<u>2,728,938</u>
სულ აქტივები		<u><u>2,516,410</u></u>	<u><u>2,938,418</u></u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		476,113	476,113
გაუნაწილებელი მოგება / დაგროვილი ზარალი		230,825	189,166
სულ კაპიტალი		<u><u>706,938</u></u>	<u><u>665,279</u></u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	655,541	-
მაიჯარო ვალდებულებები	10	50,102	-
		<u><u>705,643</u></u>	<u><u>-</u></u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	655,541	1,857,287
მაიჯარო ვალდებულებები	10	27,336	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	420,952	415,852
		<u><u>1,103,829</u></u>	<u><u>2,273,139</u></u>
სულ ვალდებულებები		<u><u>1,809,472</u></u>	<u><u>2,273,139</u></u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>2,516,410</u></u>	<u><u>2,938,418</u></u>

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 15 მაისი:

გენერალური მენეჯერი

მილენკო მარკოვიჩი

ფინანსური მენეჯერი

ნინო
ტოტოშვილი

შენიშვნები 9-21 გვერდებზე არის ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	12	4,173,651	4,382,602
გაცივებული საქონლის თვითღირებულება	13	(3,015,139)	(3,604,519)
საერთო მოგება		1,158,512	778,083
სხვა შემოსავალი		33,497	18,618
კომერციული ხარჯები	14	(393,594)	(479,084)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(510,895)	(534,541)
გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი	16	(215,876)	(714,723)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		71,644	(931,647)
ფინანსური შემოსავალი		13,911	5,998
ფინანსური ხარჯები		(58,066)	(61,586)
სავალუტო შემოსავალი/(ზარალი), წმინდა		14,170	403,088
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		41,659	(584,147)

შენიშვნები 9-21 გვერდებზე არის ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს აგრიმატკო ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	476,113	773,313	1,249,426
მთლიანი სრული ზარალი	-	(584,147)	(584,147)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	476,113	189,166	665,279
მთლიანი სრული შემოსავალი	-	41,659	41,659
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	476,113	230,825	706,938

შენიშვნები 9-21 გვერდებზე არის ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		41,659	(584,147)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		44,073	39,260
ცვლილებები საექვო ვალების ანარიცხებში	17	45,667	28,376
მარაგების გაუფასურება	17	170,209	686,347
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება		(382)	(1,072)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		-	464
საპროცენტო შემოსავალი		(13,911)	(5,998)
საპროცენტო ხარჯი		58,066	61,586
გაცვლითი კურსის სხვაობების გავლენა		(13,667)	(403,088)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებების შეტანამდე		331,714	(178,272)
საბრუნავი კაპიტალის მოძრაობა			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების (ზრდა)/შემცირება		(273,511)	74,134
სასაქონლო მარაგების შემცირება/(ზრდა)		340,018	(64,876)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(57,377)	616,223
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		340,844	447,209
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი		(6,726)	-
სესხებზე გადახდილი პროცენტი		(153,022)	-
მიმდინარე საბანკო ანგარიშიდან მიღებული პროცენტი		13,911	5,998
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		195,007	453,207
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(33,960)	(2,359)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		712	7,380
წმინდა ფულადი სახსრების გადინება (შემოდინება) საინვესტიციო საქმიანობიდან		(33,248)	5,021
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი ძირითადი თანხა		(12,120)	(40,164)
სესხების დაფარვა		(437,206)	(4,086)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(449,326)	(44,250)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა (კლება) / ზრდა		(287,567)	413,978
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში		897,506	955,972
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების სავალუტო გაცვლის შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი)		24,883	(472,444)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოს		634,822	897,506

შენიშვნები 9-21 გვერდებზე არის ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრმატკო ჯორჯია“ (შემდგომში “კომპანია”, საიდენტიფიკაციო ნომერი (404860101)) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2010 წლის დეკემბერში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის 100%-იანი წილი ეკუთვნის შპს Agrimatco HE-ს, რომელიც რეგისტრირებულია კვიპროსში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, მოსკოვის გამზ. N25. კომპანიის გენერალური მენეჯერი და დირექტორია მილენკო მარკოვიჩი

კომპანიის აქციების ძირითადი მფლობელებს და საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენენ ხალედ ხ.ა. მიქდადი და მუსტაფა ხალილ აბდელ-რაჰიმ მიქდადი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დისტრიბუცია, საქმიანობის სფეროებია კულტურებისა და ნარგავების დაცვა, სპეციალიზებული სასუქები, თესლი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ერთობლივად, „მსს ფას სტანდარტი“).

საქართველოში რეგისტრირებული მოცემული კომპანია სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მსს ფას სტანდარტის შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფას სტანდარტის შესაბამისად, საჭიროებს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, საჭიროა, რომ მენეჯმენტმა შეიმუშაოს მიდგომა სააღრიცხვო პოლიტიკის საუკეთესო გამოყენების თაობაზე. სფეროები, სადაც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოდგენილ იქნა მნიშვნელოვანი შეფასებები და პროგნოზები და ასევე მათი შედეგები მოცემულია შენიშვნა 3-ში.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და გააგრძელებს ფუნქციონირებას უახლოეს მომავალში მენეჯმენტი და აქციონერები აპირებენ კიდევ უფრო განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს კომპანიისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის დაშვებას.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და პროგნოზები

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებებსა და დაშვებებს მომავლის შესახებ. ვარაუდები და პროგნოზები მუდმივად ფასდება გასული პერიოდების გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე, მათ შორის მომავლის მოვლენების იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც გონივრულად მიიჩნევა მოცემულ ვითარებაში. სამომავლოდ, ფაქტობრივი გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც გააჩნიათ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა - ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებების მიხედვით იმ პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაშიც აქტივები გამოიმუშავენ შემოსავალს, რომლებიც დროდადრო გადაიხედება მათი მიზანშეწონილობის დასადგენად. შეფასებებში არსებულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება საბალანსო ღირებულებაში და იმ თანხებში, რომლებიც აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში კონკრეტულ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - გაუფასურების ანარიცხის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები კონტრაგენტის მხრიდან, დეფოლტი ან გადახდის მნიშვნელოვნად დაგვიანება), რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების პირობების მიხედვით გადასახდელი ყველა თანხის შეგროვებას, ასეთი ანარიცხის ოდენობა წარმოადგენს სხვაობას წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებულ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. როდესაც დადასტურდება, რომ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არ ექვემდებარება ამოღებას, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის ანარიცხთან მიმართებაში.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და პროგნოზები (გაგრძელება)

დაგროვილი გაუფასურების შემთხვევაში, კომპანია იყენებს შემდეგ განაკვეთებს:

	განაკვეთი
1-30 ვადაგადაცილებული	10%
31-90 ვადაგადაცილებული	15%
91-120 ვადაგადაცილებული	20%
121-180 ვადაგადაცილებული	25%
181-360 ვადაგადაცილებული	50%
360-ზე მეტი ვადაგადაცილება	100%

მარაგების გაუფასურება - მარაგების გაუფასურების ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც, საბალანსო ღირებულება სრულად არ არის ანაზღაურებადი (მაგალითად, დაზიანების, მოძველების ან გასაყიდი ფასების შემცირების გამო). თუ მარაგების ნივთი (ან ნივთების ჯგუფი) გაუფასურებულია, კომპანია აფასებს მარაგებს გასაყიდ ფასს გამოკლებული პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით, და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის გადაფასება

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაფასდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ანგარიშსწორების ოპერაციებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსებით გადაფასების შედეგად, აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლო განაკვეთებით გადაფასება არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე. უცხოური ვალუტის ნაშთების ქართულ ლარში გადასატანად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსები (საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები) იყო:

	ევრო	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი, 31 დეკემბერი 2023	2.9753	2.6894
გაცვლითი კურსი, 31 დეკემბერი 2022	2.8844	2.7020

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება ტრანზაქციის ფასით (რაც მოიცავს ტრანზაქციის ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომლებიც შეფასდება რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით). თუმცა, თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ტრანზაქციას, მაშინ ის განისაზღვრება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, დისკონტირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასით. ისინი შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს შეაგროვოს ყველა კუთვნილი თანხა დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, საპროცენტო ხარჯით აღიარებული ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

ნასესხები სახსრები

მიღებული სესხები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ხარჯების გამოკლებით. შემდგომში მიღებული სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მცირე ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს ბანკებში და ფულად სახსრებს ტრანზიტში, დეპოზიტებსა და სავაჭრო ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადა არ აღემატება სამ თვეს.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. პირვანდელი ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ძირითადი საშუალების შეძენას.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ისევე როგორც შესყიდვის ფასი, თვითღირებულება მოიცავს უშუალოდ მიკუთვნებულ ხარჯებს და აქტივების მონტაჟისა და დემონტაჟისათვის ნებისმიერი მომავალი გარდაუვალი ხარჯების სავარაუდო ამჟამინდელ ღირებულებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი თანმდევი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდოა, რომ ადგილი ექნება აქტივთან დაკავშირებულ მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოძენას კომპანიაში და როდესაც შესაძლებელია ნივთის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა შეკეთებისა და რემონტის ხარჯები აისახება მოგება-ზარალში იმ ფინანსური პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ისინი წარმოიქმნება.

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც ის ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად, მაგალითად მაშინ როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შეძლოს იმუშაოს ისე, როგორ მენეჯმენტის აქვს განსაზღვრული. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი უმოქმედოა ან აღარ არის აქტიურ სარგებლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი მთლიანად არის გაცვეთილი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე და მიზნად ისახავს აქტივების ჩამოწერას მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადებით:

	<u>ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო</u> <u>მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს</u> <u>ვ ა დ ა (წ ე ლ ე ბ ი)</u>
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და ინვენტარი	7
IT აღჭურვილობა	5

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს არის თუ არა რაიმე საფუძველი რომელიმე აქტივის გაუფასურების. თუ არსებობს ნიშნები შესაძლო გაუფასურების, შეფასდება ნებისმიერი გაუფასურებული აქტივის (ან შესაბამისი აქტივების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ სავარაუდო ანაზღაურებადი ღირებულება უფრო დაბალია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველა ხარჯს, გარდაქმნის ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაიწევა მარაგების ამჟამინდელ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. შეწონილი საშუალო გამოიყენება ჩვეულებრივ ურთიერთშემცვლელი ნივთების ღირებულების დასადგენად.

გადასახადები

საშემოსავლო გადასახადი აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდებს. გადასახადის დარიცხვა ხდება წმინდა შემოსავლის განაწილებისას. კორპორაციული მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია. დაბეგვრის ობიექტები წარმოადგენს ყოველთვიურ და არა წლიურ შედეგებს.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს შემდგომი ტრანზაქციები/ვაქტობრივი გადახდები:

- დივიდენდების გადახდა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე გადახდილი შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადი მეორედ დაბეგვრას არ ექვემდებარება. კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადები ერთიან სახაზინო კოდზე, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთ გაქვითვით.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება, როდესაც ხდება სავალდებულო მოვლენები. სავალდებულო მოვლენა არის მოვლენა, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად, როდესაც არსებობს მოლოდინი, რომ მომავალი ეკონომიკური

სარგებელი შემოედინება საწარმოში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობები გადასცემს კომპანიას იჯარით აღებული აქტივის საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ფინანსური იჯარით მფლობელობაში მყოფ აქტივებზე უფლებები აღიარებულია კომპანიის აქტივებად იჯარით აღებული ქონების სამართლიანი ღირებულებით (ან, თუ უფრო დაბალია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით) იჯარის დაწყებისას. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. იჯარის გადასახდელები გადანაწილებულია ფინანსურ ხარჯებსა და იჯარის ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეული იყოს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯები გამოიქვითება მოგების ან ზარალის გაანგარიშებისას. ფინანსური იჯარით გათვალისწინებული აქტივები შედის ძირითად საშუალებებში, ერიცხება ცვეთა და ფასდება გაუფასურების ზარალზე ისევე, როგორც საკუთრებაში არსებული სხვა აქტივები.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია არის მოიჯარე, რომელსაც არ გადაეცემა საკუთრებაში ფლობის ყველა რისკი და სარგებელი მეიჯარისგან, იჯარის მთლიანი გადასახადები აისახება წლის მოგება-ზარალში წრფივი

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, სხვა პირობების გათვალისწინებით, რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს არჩევანი გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება შემდგომი გადახდებით ან გადახდების გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს. კომპანიას არ აქვს არაგაუქმებადი იჯარა.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალი აღიარებულია როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ რაოდენობით, რა ოდენობითაც შეტანილია მფლობელების მიერ კომპანიაში. კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მფლობელების შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

ამონაგები

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ბიზნესის ნორმალურ პირობებში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების, რაოდენობის შესყიდვისას ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე. ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი მიწოდებულია და საკუთრების ფლობის რისკი და სარგებელი გადადის მყიდველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ადგილი აქვს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

პროდუქციის რეალიზაციისას გაწეული ხარჯები აღიარებულია შემოსავლის პროპორციული გაანგარიშებით. ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ ან აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის გადინება და შესაძლებელია ასეთი ვალდებულებების ოდენობის

საიმედოდ შეფასება. ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება ნაკლებად სავარაუდოა.

პირობითი აქტივები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია მჟღავნდება, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მოხდება, აქტივი და მასთან დაკავშირებული შემოსავალი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდება შეფასების ცვლილება.

ანარიცხი არის გაურკვეველი ვადის ან ოდენობის ვალდებულება.

ვალდებულება არის კომპანიის ამჟამინდელი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენებიდან, რომლის ანგარიშსწორება სავარაუდოდ გამოიწვევს კომპანიიდან რესურსების გადინებას, რომლებიც შეიცავს ეკონომიკურ სარგებელს. სავალდებულო მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც კომპანიას არ აქვს ამ ვალდებულების გადახდის რეალური ალტერნატივა. სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს:

- (a) ხელშეკრულებიდან (მისი აშკარა ან იმპლიციტური პირობებით);
- (b) კანონმდებლობიდან; ან
- (c) კანონის სხვა მოქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს საწარმოს ქმედებებიდან, როდესაც:

(a) წარსული პრაქტიკის, გამოქვეყნებული პოლიტიკის ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების მიხედვით, კომპანიამ განუცხადა სხვა მხარეებს, რომ ის მიიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას; და

(b) შედეგად, კომპანიამ შექმნა მართებული მოლოდინი სხვა მხარეების მხრიდან, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობას.

როდესაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სარგებლის გადინება მოხდება ამჟამინდელი ვალდებულების გამო, რომელიც წარმოქმნილია მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, ანარიცხის შესაბამისი თანხა აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. თუმცა, როდესაც ასეთი გადინება დამოკიდებულია მომავალ მოვლენაზე, რომელიც არ არის გარკვეული ან შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს, პირობითი ვალდებულების შესახებ განმარტება აისახება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც მატერიალურია, მაგრამ გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და ინვენტარი	IT აღჭურვილობა	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	343,796	41,892	22,430	408,118
შემოსვლა	-	55	2,304	2,359
გასვლა	(12,382)	(400)	(1,314)	(14,096)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	331,414	41,547	23,420	396,381
შემოსვლა	110,073	13,444	-	123,517
გასვლა	-	(2,512)	(1,583)	(4,095)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	441,487	52,479	21,837	515,803
დაგროვილი ცვეთა				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(124,992)	(18,784)	(13,201)	(156,977)
ცვეთა	(30,717)	(4,885)	(3,349)	(38,951)
გასვლა	6,074	238	1,013	7,325
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(149,635)	(23,431)	(15,537)	(188,603)
ცვეთა	(34,348)	(6,506)	(2,976)	(43,830)
გასვლა	-	2,182	1,584	3,766
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(183,983)	(27,755)	(16,930)	(228,667)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	181,779	18,116	7,883	207,778
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	257,504	24,724	4,907	287,136

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაუფასურებულია, მაგრამ კვლავ გამოიყენება კომპანიის მიერ შემდეგი აქტივები:

- სატრანსპორტო საშუალებები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 43,988 ლარის ჯამური პირვანდელი ღირებულება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 43,988 ლარი)
- ავეჯი და ინვენტარი - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,324 ლარის ჯამური პირვანდელი ღირებულება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 7,794 ლარი)
- IT აღჭურვილობა - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,269 ლარის ჯამური პირვანდელი ღირებულება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 6,852 ლარი)

6. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
აგროქიმიკატები	852,914	1,361,507
სასუქები	148,916	54,372
თესვები	22,386	101,321
სხვა	19,394	36,637
	1,043,610	1,553,837

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არსებული მარაგების ბალანსი მოიცავს მარაგების გაუფასურებას, წარმოდგენილი როგორც გასაყიდ ფასს გამოკლებული პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ მე-15 შენიშვნა.

მარაგების გაუფასურების ანარიცხის დეტალები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
აგროქიმიკატები	285,462	595,190
თესვები	246,961	121,068
სასუქები	85,362	59,647
სხვა	29,307	31,626
	647,092	807,531

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	729,515	477,295
საექვო ვალების ანარიცხი	(239,430)	(244,447)
	490,085	232,848
არაფინანსური აქტივები		
სხვა გადახდილი ავანსები	43,806	39,884
სხვა მოთხოვნები	12,300	-
საგადასახადო აქტივები	3,192	4,863
	59,298	44,747
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	549,383	277,595

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიანი მოთხოვნებს.

არცერთი მოთხოვნის საკრედიტო რისკი არ ექვემდებარება მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ. საკრედიტო რისკის მართვა ხდება მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შეფასებით კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მომსახურების წესებისა და პირობების შეთავაზებამდე.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი საბალანსო დირებულ ბა	მოსალოდნე ლი ზარალი ს მაჩვენებ ელი	ზარალის ანარიცხი
ერთობლივად განსაზღვრული გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები			
მიმდინარე	145,501	0%	-
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული	20,036	10%	(2,004)
31-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	207,913	15%	(31,187)
91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებული	76,155	20%	(15,231)
121-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	107,041	25%	(26,760)
181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	17,243	50%	(8,622)
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული	155,626	100%	(155,626)
სულ ერთობლივად გაუფასურებული	729,515		(239,430)
სულ ფინანსური აქტივები	729,515		(239,430)

ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი საბალანსო დირებულ ება	მოსალოდნე ლი ზარალი ს მაჩვენებ ელი	ზარალის ანარიცხი
ერთობლივად განსაზღვრული გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები			
მიმდინარე	197,807	0%	-
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული	1,670	10%	(167)
31-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	15,768	15%	(2,365)
91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებული	12,271	20%	(2,454)
121-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	13,757	25%	(3,439)
181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	-	50%	-
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული	236,022	100%	(236,022)
სულ ერთობლივად გაუფასურებული	477,295		(244,447)
სულ ფინანსური აქტივები	477,295		(244,447)

ანარიცხის შეჯერება საეჭვო ვალებისთვის შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარს	(244,447)	(216,071)
წლის ხარჯი	(45,667)	(28,376)
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა	50,684	-
31 დეკემბერს	(239,430)	(244,447)

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი სახსრები ბანკებში ეროვნულ ვალუტაში	453,125	494,453
ფულადი სახსრები ბანკებში უცხოურ ვალუტაში	181,697	403,053
	634,822	897,506

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს, 13,911 ლარისა და 5,998 ლარის ოდენობით, შესაბამისად. საპროცენტო შემოსავალი მიღებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

9. ნასესხები სახსრები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები წარმოდგენილია დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხის სახით, რომლის ჯამური ოდენობა 1,311,082 ლარი და 1,857,287 ლარია, შესაბამისად. შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი 3% - ია.

2023 წლის მარტში კომპანიამ და მსესხებელმა ხელი მოაწერეს სასესხო ხელშეკრულებაში ცვლილებას, დაფარვის ვადის გაგრძელების შესახებ 2025 წლის ბოლომდე. ახალი გრაფიკის მიხედვით კომპანიამ უნდა გადაიხადოს:

- სესხის 25% და დარიცხული პროცენტი 2023 წლის 31 დეკემბრამდე
- სესხის 37.5% და დარიცხული პროცენტი 2024 წლის 31 დეკემბრამდე
- სესხის 37.5% და დარიცხული პროცენტი 2025 წლის 31 დეკემბრამდე კომპანია შესაბამისობაშია განახლებულ გადახდის გრაფიკთან. სესხების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.

10. საიჯარო ვალდებულებები

2023 წლის 28 ივნისს კომპანიამ ხელი მოაწერა 37 000 აშშ დოლარის ღირებულების ძირითად სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ გრძელვადიან იჯარის ხელშეკრულებას „თიბისი ლიზინგ“-თან. იჯარის დაფარვის ვადა 2026 წლის 22 ივლისია. შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი 17.5% - ია. შეთანხმების თანახმად, მოიჯარის მონაწილეობა განისაზღვრა 7,500 აშშ დოლარის ოდენობით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	410,048	406,312
სხვა ვალდებულებები	10,904	9,540
	420,952	415,852

მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიეკუთვნება ტოპ 1 მომწოდებელს. წლის განმავლობაში მთლიანი საქონლის შესყიდვების 84% მიეკუთვნება ტოპ 2 მომწოდებელს (2022: ტოპ 2 - 89%).

12. ამონაგები

	2023	2022
აგროქიმიკატები	3,948,973	3,995,742
სასუქები	206,749	245,194
თესლები	14,343	139,249
სხვა	3,586	2,417
	4,173,651	4,382,602

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
აგროქიმიკატები	(2,785,225)	(3,326,026)
სასუქები	(176,814)	(188,456)
თესლები	(51,665)	(88,536)
სხვა	(1,435)	(1,501)
	(3,015,139)	(3,604,519)

14. კომერციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(191,473)	(182,267)
ქირის ხარჯები	(64,881)	(115,325)
საწვავი	(43,011)	(54,791)
რემონტი და ტექნომსახურება	(28,550)	(30,771)
ცვეთა და ამორტიზაცია	(28,833)	(30,717)
დაზღვევა	(21,359)	(24,624)
რეკლამის ხარჯი	(8,861)	(11,093)
სხვა	(6,626)	(29,496)
	(393,594)	(479,084)

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(302,084)	(362,199)
საგადასახადო ხარჯები, გარდა მოგების გადასახადისა	(46,876)	(52,848)
პროფესიული მომსახურებები	(42,955)	(34,232)
ქირის ხარჯები	(20,339)	(14,835)
ცვეთა და ამორტიზაცია	(15,240)	(8,543)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(11,859)	(7,083)
დაზღვევა	(10,743)	(6,402)
მივლინების ხარჯები	(7,689)	(5,222)
სხვა	(53,110)	(43,177)
	(510,895)	(534,541)

მთავარი ხელმძღვანელი პერსონალის ანაზღაურება გამჟღავნებულია მე-18 შენიშვნაში.

16. გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი

	2023	2022
ცვლილებები საექვო ვალების ანარიცხებში	(45,667)	(28,376)
მარაგების გაუფასურება	(170,209)	(686,347)
	(215,876)	(714,723)

17. საპროცენტო ხარჯები

	2023	2022
საპროცენტო ხარჯები სესხებზე	(51,340)	(61,586)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე	(6,726)	-
	(58,066)	(61,586)

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები, ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც ეს განსაზღვრულია მსს ფასის სტანდარტის 33-ე პუნქტით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(a) პირს ან ამ პირის ოჯახის ახლო წევრს, რომელიც დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ სუბიექტთან, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი კომპანიის საკვანძო მენეჯერული პერსონალი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივ კონტროლს ახორციელებს ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე.

(b) საწარმო, რომელიც დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ საწარმოსთან, თუ სრულდება რომელიმე შემდგომი პირობა:

- (i) საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო ერთი და იგივე ჯგუფის წევრები არიან (რაც ნიშნავს, რომ თითოეული მშობელი, შვილობილი და იმავე დონის სხვა შვილობილი საწარმო დაკავშირებულია სხვასთანაც).
- (ii) ერთი საწარმო არის მეორე საწარმოსთან ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო (ან ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო იმ ჯგუფის წევრისა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო).
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე სუბიექტის ერთობლივი საწარმოს.
- (iv) ერთი საწარმო არის მესამე მხარის ერთობლივი საწარმო, ხოლო მეორე საწარმო არის მესამე მხარის ასოცირებული საწარმო.
- (v) საწარმო არის შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის გასამრჯელოს პროგრამა ანგარიშვალდებული საწარმოს ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული საწარმოს თანამშრომლებისთვის. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თავად წარმოადგენს ამგვარ პროგრამას, დამფინანსებელი დამსაქმებლები ასევე დაკავშირებულნი არიან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან.
- (vi) საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივ კონტროლს ახორციელებს პირი, რომელიც მითითებულია (ა) პუნქტში.
- (vii) საწარმო ან იმ ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომლის ნაწილიც ის არის, უზრუნველყოფს მთავარი ხელმძღვანელი პერსონალის მომსახურებას ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის.
- (viii) პირს, რომელიც იდენტიფიცირებულია (ა) (ii) პუნქტში, აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საწარმოზე ან არის საწარმოს (ან საწარმოს მშობლის) მთავარი ხელმძღვანელი პერსონალის პერსონალის წევრი.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების დეტალები შეიძლება წარმოადგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ანგარიშგება	მდგომარეობის		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	410,047	406,312
ნასესხები სახსრები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	1,311,082	1,857,287
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საპროცენტო ხარჯები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	(51,340)	(61,586)
მოკლევადიანი დასაქმებულთა გასამრჯელოები	მთავარი ხელმძღვანელი პერსონალი	(167,853)	(269,823)

19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

სასამართლო დავები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სამართლებრივი ჩივილები და დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც წარმოქმნილია სამართლებრივი ჩივილებისა და დავების შედეგად ვერ მოახდენს მატერიალურ უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

2022 წლის ივნისში კომპანიამ იმპორტი მოახდინა ორი ტიპის თესლის, დადგინდა, რომ პროდუქტები შეიცავდა გენმოდირებული ორგანიზმებს. ამ ფაქტის შედეგად საქონელი გაჩერებულია საბაჟოზე, საქართველოს საზღვარზე. ასე რომ, კომპანიას არ შეუძლია გამოიყენოს და/ან გაყიდოს ეს საქონელი. ამ ფაქტის გამო საწარმომ გააუფასურა თესლის სრული ოდენობა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნულ ფაქტს აღარ ენქება დამატებით მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, აღნიშნული საქმის სტატუსი არ განახლებულა, საქონელი კვლავ შეჩერებულია საბაჟოზე, საქართველოს საზღვარზე.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში, კერძოდ, შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ოპერაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოების ყურადღებას დაექვემდებაროს და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ საგადასახადო წელი 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულების ანარიცხი არ აღიარდება მანამ, სანამ შესაბამისი შეფასება არ გაკეთდება. ჯარიმების, პროცენტებისა და გადასახადების ვალდებულებები, გარდა მოგებისა, აღიარდება მენეჯმენტის მიერ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია ვალდებულებების დაფარვისთვის საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საკუთარი შეფასებებისა

და შიდა პროფესიული რჩევის საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო ვალდებულებების კუთხით დამატებითი მატერიალური ზარალი არ დადგება, ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღიარებული გარდა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე გადახდილი შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადი მეორედ დაბეგვრას არ ექვემდებარება. თუ კომპანია სრულად გაანაწილებს შემოსავალს 2017 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, კომპანია დაექვემდებარება მოგების გადასახადს, რომლის საერთო ღირებულება 34,624 ლარი იქნება.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება განსხვავებულ რისკებს, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური და სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. საქართველოში ბიზნესზე მოქმედი კანონები და რეგულაციები სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.


20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წელს კომპანიამ ხელი მოაწერა ორ გრძელვადიან ფინანსური იჯარის ხელშეკრულებას სატრანსპორტო საშუალებებთან და ელექტრო მტვირთავებთან დაკავშირებით, რომელთა საერთო ღირებულებაა 17,954 აშშ დოლარი და 19,800 ევრო, შესაბამისად.

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	287,136	207,778
არამატერიალური აქტივები		1,459	1,702
		<u>288,595</u>	<u>209,480</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	1,043,610	1,553,837
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	549,383	277,595
მულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	8	634,822	897,506
		<u>2,227,815</u>	<u>2,728,938</u>
სულ აქტივები		<u>2,516,410</u>	<u>2,938,418</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		476,113	476,113
გაუნაწილებელი მოგება / დაგროვილი ზარალი		230,825	189,166
სულ კაპიტალი		<u>706,938</u>	<u>665,279</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	655,541	-
მაიჯარო ვალდებულებები	10	50,102	-
		<u>705,643</u>	<u>-</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	655,541	1,857,287
მაიჯარო ვალდებულებები	10	27,336	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	420,952	415,852
		<u>1,103,829</u>	<u>2,273,139</u>
სულ ვალდებულებები		<u>1,809,472</u>	<u>2,273,139</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>2,516,410</u>	<u>2,938,418</u>

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 15 მაისი:

გენერალური მენეჯერი



მილენკო მარკოვიჩი

ფინანსური მენეჯერი


ნინო
ტოტოშვილი

შენიშვნები 9-21 გვერდებზე არის ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

AGRIMATCO GEORGIA LLC

FINANCIAL STATEMENTS

Together with the Independent Auditors' Report

For the year ended 31 December 2023

CONTENTS:

INDEPENDENT AUDITORS' REPORT	3
------------------------------------	---

FINANCIAL STATEMENTS

STATEMENT OF FINANCIAL POSITION	5
STATEMENT OF COMPREHENSIVE INCOME.....	6
STATEMENT OF CHANGES IN EQUITY	7
STATEMENT OF CASH FLOWS	8

NOTES TO THE FINANCIAL STATEMENTS

1. General information	9
2. Basis of preparation	9
3. Critical accounting estimates and judgments.....	9
4. Summary of significant accounting policies	10
5. Property and equipment	13
6. Inventories	14
7. Trade and other receivables	14
8. Cash and cash equivalents	15
9. Borrowings	16
10. lease liabilities	16
11. Trade and other payables.....	16
12. Revenue	16
13. Cost of sale	16
14. Commercial expenses	17
15. General and administrative expenses	17
